



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

18 აპრილი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 50

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 29 ნოემბრის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზნით სპეციალური ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ №122 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილებები და დამატებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 29 ნოემბრის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზნით სპეციალური ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ №122 ბრძანებაში და ბრძანების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის, შესასრულებელი ან შესრულებული სამუშაოების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლის, ზედამხედველობის განხორციელების და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების ანგარიშსწორების პროცესის რეგულირების საკითხებში, მიმწოდებელთან თანამშრომლობის მიზნით შეიქმნას სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელი:

მიხეილ გოგოტიშვილი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

ინსპექტირების ჯგუფის წევრები:

შალვა გაბრიჩიძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

კონსტანტინე სარიშვილი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსი;

ოთარი გეგიაძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

თემური გიორგაძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი;

სევერიან საჯაია – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

კახა გაგუა – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი“-ს დირექტორი ;

იმ ტერიტორიული ორგანოს – გამგეობის რწმუნებული, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთისიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი